ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 64/05/08/13

ქ. თბილისი 07/08/2013 წელი

შემსყიდველი: **შპს „საქაერონავიგაცია“,**

გენერალური დირექტორის, **გოჩა მეზვრიშვილის** სახით,

მისამართი: ქ. თბილისი, აეროპორტი 0198, ტელ. 274-42-27.

საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა“ ბ/კოდი REPLGE22;

ა.ა GE 69 BR 000000000 54 67 067 ს.კ. 208144051.

მიმწოდებელი -	შპს „ირბათ-ფ.ნ.“; ს/კ 245392169
დირექტორი -	ციცინო კიკაჩეიშვილი
მისამართი, ტელეფონი -	ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №5
საბანკო რეკვიზიტები -	ს.ს. “პროკრედიტ ბანკი”; ბანკის კოდი MIBGGE22, ა/ა GE84PC0193600100007939

ერთის მხრივ - **შემსყიდველი**, და, მეორე მხრივ, - **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტია დანართ №1-ში მითითებული შპს „საქაერონავიგაციის“ კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისთვის საჭირო სათადარიგო ნაწილებისა და საცხებ-საპოხი მასალის სახელმწიფო შესყიდვა (შემდგომში, საქონელი).

1.2. დანართები №1 (ავტოსატრანსპორტო საშუალებები) და №2 (სათადარიგო ნაწილებისა და საცხებ-საპოხი მასალის ჩამონათვალი/ღირებულება) ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილებია.

1.3. ხელშეკრულება იდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების საფუძველზე.

1.4. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდია (CPV) **34300000**.

მუხლი 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე, რომლის მიზანია საქონლის მიწოდების ვად(ებ)ის, რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

2.2. ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს შემსყიდველის სახელით ახორციელებს ლოგისტიკის სამსახურის უფროსი, დიზი ტაბატაძე, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ აღნიშნულ გამარტივებულ შესყიდვაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს ("სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის "გ" და "ე" ქვეპუნქტები).

მუხლი 3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულება დაიწყება მხარეთა მიერ შედგენილი დეფექტური აქტის ან შეკვეთის საფუძველზე, რომელშიც აღინიშნება საქონლის დასახელება, რაოდენობა და მიწოდების ვადები.

3.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

3.3. შემსყიდველის სახელით მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება დიზი ტაბატაძეს.

3.4. დასაშვებია ეტაპობრივი მიღება-ჩაბარება.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1. ჯამური ღირებულებაა **4000.00** (ოთხი ათასი) ლარი.

4.2. გადასახდელი ღირებულება განისაზღვრება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით მხარეთა შორის შეთანხმებული პრეისკურანტის საფუძველზე. საქონლის ერთეულის ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართ №2-ში.

4.3. ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4.4. გადახდის ფორმაა უნაღდო ანგარიშსწორება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

4.5. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, მიწოდებული საქონლის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის შემსყიდველისთვის წარდგენიდან 10 დღის ვადაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.1.1. შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულებები პირადად და არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები მესამე პირებს.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

5.2.1. მოითხოვოს ხელშეკრულების ღირებულების დროული და სრული გადახდა.

5.2.2. მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების დაცვა.

5.2.3. მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებით, შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია:

5.3.1. გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:

5.4.1. არ გააფორმოს მიღების-ჩაბარების აქტი, თუ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებით დადგენილ მოთხოვნებს.

5.4.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულების შესრულებაზე.

5.4.3. მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებით, შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 6. საგარანტიო პირობები

6.1. მიმწოდებლის გარანტია მიწოდებულ სათადარიგო ნაწილებზე მოქმედებს მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან არანაკლებ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში.

6.2. თუ საგარანტიო პერიოდში აღმოჩნდება დეფექტები, რომლებიც გამორიცხავენ ავტოსატრანსპორტო საშუალების გამოყენებას დანიშნულებისამებრ, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან 10 დღეში გამოასწოროს დეფექტი ან დაუბრუნოს შემსყიდველს გადახდილი თანხა.

6.3. აღნიშნული გარანტია არ ვრცელდება შემსყიდველის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების შენახვის, მომსახურებისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევის, ასევე გარეგანი ზემოქმედების

შედეგად (მექანიკური ზემოქმედება, არაკვალიფიციური მოპყრობა და სხვა) მიყენებულ ზიანზე.

6.4. თუ მიმწოდებლის მიერ გამოყენებული მასალების ვარგისიანობის ვადა შეზღუდულია და დროთა განმავლობაში მათი სამომხმარებლო თვისებები შეიძლება შეიცვალოს ან საფრთხე შეექმნას მომხმარებლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ქონებას, გარემოს და/ან სხვა, მომსახურების გაწევის დროს, მათი გამოყენების თარიღისათვის მათი ვარგისიანობის ვადა არ უნდა იყოს საერთო ვარგისიანობის ვადის 75%-ზე ნაკლები.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

7.2. ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო გადასახდელი ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

7.3. მხარეებს ყოველთვის აქვთ უფლება მოითხოვონ ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს პასუხისმგებლობის დაკისრებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2. ხელშეკრულებს მიზნებისთვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება იყოს გამოწვეული ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც

შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისგან.

მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინების შემდეგ:

9.1.1. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია საქონლის მიწოდება.

9.1.2. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

9.1.3. თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

9.1.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

9.3. ამ მუხლის 9.1. პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის განზრახვის თაობაზე არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებ(ებ)ის შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

მუხლი 11. დავების გადაწყვეტა

11.1. მხარეები ვალდებულნი არიან მოაგვარონ ყველა უთანხმოება მოლაპარაკების გზით, ხოლო ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას წყვეტს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

მუხლი 14. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველის სახელით:

გ. მეზვრიშვილი
გენერალური დირექტორი

მიმწოდებლის სახელით:

[illegible]ეიშვილი
[illegible]ორი

დანართი №1

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ——————————

№	ავტოსატრანსპორტო საშუალებების დასახელება, სახელმწიფო ნომრები და გამოშვების წელი
1	Ford Econoline, სახ. ნომრით NAV-001 (2009 წ.)
2	Ford Transit Connect, სახ. ნომრით JQJ-331 (2009 წ.)

შემსყიდველის სახელით:

გ. მეხვეოძვილი
გენერალური დირექტორი

მიმწოდებლის სახელით:

ნ. ციკაჩეიშვილი
დირექტორი

სათადარიგო დეტალების ცხრილი დანართი 2

ფორდ ტრანზიტი

№	სათადარიგო ნაწილების დასახელება	რაოდ	ერთ. ფასი
1	წინა ხუნდები	1 ცალი	50.00
2	უკანა ხუნდები	1 ცალი	85.00
3	ელასტიური მუფთა	1 ცალი	48.00
4	პადვესნოი	1 ცალი	62.00
5	სტუპიცის საკისარი წინა	1 ცალი	97.00
6	სტუპიცის საკისარი უკანა	1 ცალი	70.00
7	საჰაერო ფილტრი	1 ცალი	28.00
8	ზეთის ფილტრი	1 ცალი	27.00
9	საწვავის ფილტრი	1 ცალი	37.00
10	ჯვარედინა	1 ცალი	37.00
11	ცეპლენიის დისკი	1 ცალი	123.00
12	ცეპლენიის ალიტა	1 ცალი	153.00
13	მაიატნიკის ყუმბარა საჭის	1 ცალი	50.00
14	პადუშკა ძრავის დუტი	1 ცალი	70.00
15	რესორის რეზინები	1 ცალი	25.00
16	თერმოსტატი წყლის	1 ცალი	30.00
17	წყლის ნასოსი	1 ცალი	63.00
18	კარობკის ბალიში	1 ცალი	37.00
19	სტარტერის ვტულკები	1 ცალი	27.00
20	სტარტერის ზოთქები	1 ცალი	28.00
21	სტარტერის ზოთქები ბუდით	1 ცალი	42.00
22	ამორტიზატორები წინა	1 ცალი	135.00
23	ნაკანეწნიკი	1 ცალი	35.00
24	უპორნი დისკი	1 ცალი	78.00
25	ტორმუზის შლანგი	1 ცალი	40.00
26	გიტარის ვტულკები	1 ცალი	50.00
27	ცეპლენიის ტროსი	1 ცალი	35.00
28	ხელის მუხრუჭის ტროსი	1 ცალი	45.00
29	სპიდომეტრის ტროსი	1 ცალი	37.00
30	კაპოტის ტროსი	1 ცალი	32.00
31	ტრეშოტკა	1 ცალი	23.00
32	ვიჟიმნოი საკისარი	1 ცალი	50.00
33	ცეპლენიის ვილკა	1 ცალი	55.00
34	შუშა ცილინდრი	1 ცალი	45.00
35	მთავარი ვაკუუმის მექანიზმი	1 ცალი	55.00
36	დინამოს საკისარი	1 ცალი	32.00
37	დინამო	1 ცალი	325.00
38	რადიატორი	1 ცალი	255.00
39	სტარტერის ბენდექსი	1 ცალი	68.00
40	სტარტერის ცრობკა	1 ცალი	78.00
41	სტარტერი	1 ცალი	215.00
42	სტუპიცის ჩობალი	1 ცალი	24.00
43	ძრავის ღეეღი	1 ცალი	55.00
44	გარე ხედვის სარკე	1 ცალი	83.00
45	უკანა მუხრუჭის სტოპის ფარი	1 ცალი	50.00
46	უკანა ამორტიზატორი	1 ცალი	96.00

47	დინამოს დიოდი	1 ცალი	55.00
48	დინამოს აბმრეტკა (ხვია)	1 ცალი	70.00
49	დინამოს წინა სახურავი	1 ცალი	40.00
50	დინამოს უკანა სახურავი	1 ცალი	55.00
51	დინამოს რელე	1 ცალი	40.00
52	საწვავის ტუმბო	1 ცალი	85.00
53	ჩამქრობი კლაპანი	1 ცალი	40.00
54	ძრავის პრაკლატკა	1 ცალი	55.00
55	კრიშის პრაკლატკა	1 ცალი	25.00
56	კარტერის პრაკლატკა	1 ცალი	25.00
57	ნასოსის პრაკლატკა	1 ცალი	25.00

შემსყიდველი:
შ.პ.ს. „საქაერონავიგაცია"

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. „ირბათ-ფ.ნ."

სათადარიგო დეტალების ცხრილი დანართი 2

ფორდ ეკოლოლაინი ავტობუსი

№	სათადარიგო ნაწილების დასახელება	რაოდ	ერთ. ფასი
1	გადაცემათა კოლოფის ბალიში	1 ცალი	250.00
2	ძრავის ღვედის დამჭიმი	1 ცალი	280.00
3	წყლის გამაგრილებელი ავზი	1 ცალი	650.00
4	თერმოსტატი	1 ცალი	290.00
5	წყლის ტუმბო	1 ცალი	310.00
6	საწვავის ტუმბო	1 ცალი	310.00
7	კალექტორი წინა	1 ცალი	480.00
8	კალექტორი უკანა	1 ცალი	480.00
9	კრესტავინა	2 ცალი	200.00
10	ჭრიჭინა ეტულკა	1 ცალი	290.00
11	ავტომატის ფილტრი	1 ცალი	110.00
12	ავტომატის ზეთი (9 ლიტრი)	1 ცალი	360.00
13	ამორტიზატორები წინა	2 ცალი	720.00
14	ზეთი	1 ლიტრი	40.00

შემსყიდველი:
შ.პ.ს. „საქაერონავიგაცია"

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. „ირბათ-ფ.ნ."